საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030629165895119

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/4816 **30 / დეკემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

კარგად მოგეხსენებათ, თამბაქოს მომხარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად პრევენტირებადი პრობლემაა მსოფლიოში. თამბაქოს გლობალური ეპიდემია ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიონ ადამიანს კლავს, მათ შორის 6 მილიონი მწეველია, ხოლო დაახლოებით 1 მილიონი არამწეველი. თამბაქოს მიზეზით ყოველ 6 წამში ერთი ადამიანი იღუპება და თამბაქოს მიზეზით გარდაცვლილთა 28% ბავშვია. თუ არსებული ტენდენცია გაგრძელდა, 2030 წლისთვის თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების წლიური რაოდენობა 8 მილიონს მიაღწევს; ყოველ 4 წამში დაიღუპება 1 ადამიანი. მნიშვნელოვნად გაიზრდება თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილიანობა საქართველოშიც. მსოფლიოში თამბაქოს უკავშირდება სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 12%; საქართველოში კი სიტუაცია ამ მიმართულებით ბევრად უფრო ტრაგიკულია - ეს მაჩვენებელი 25%-ს აღწევს.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ საქართველოს ოკუპირებული ერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან და მთავრობის სხვა უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, განხორციელდა თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის პირველი ეკონომიკური კვლევა - ე.წ. „საინვესტიციო შემთხვევა“ (Investment Case), რომლის შედეგების მიხედვით დადგინდა: საქართველოში ყოველწლიურად 11 400 ადამიანი იღუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით და მათგან ყოველი მეხუთე პასიური მწეველია. ასევე, თამბაქოსთან ასოცირებული ყოველწლიური ხარჯი 824.9 მლნ ლარია, რაც წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის 2.43%-ს შეადგენს. თამბაქოს კონტროლის ოთხი პრიორიტეტული ინტერვენციით, კერძოდ თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის (“FCTC“) ოთხი პრიორიტეტული მუხლის აღსრულებით (1. თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრა; 2. საჯარო სივრცეში მოწევის სრულად აკრძალვა; 3. თამბაქოს ნაწარმის რეკლამირების, პოპულარიზაციისა და სპონსორობის სრული აკრძალვა; 4. თამბაქოს პროდუქტის შეფუთვა და მარკირება) 15 წლის განმავლობაში საქართველო თავიდან აიცილებს 53 100 ადამიანის გარდაცვალებას და 2033 წლისათვის 3.6 მილიარდი ლარით შეამცირებს თამბაქოსთან ასოცირებულ მთლიან ეკონომიკურ ხარჯებს. თამბაქოს კონტროლის მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა 2013 წლიდან, როდესაც საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბა თამბაქოს კონტროლის გაძლიერების სახელმწიფო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი და შედგება 10 სამინისტროს პირველი პირისაგან. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს თამბაქოს კონტროლის ეროვნულ საკონტაქტო ორგანოს და თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისიის სამდივნოს. კომისიამ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია და 2013-2018 წლების სამოქმედო გეგმა. ამ პერიოდში დაიწყო სხვადასხვა კანონში ცვლილებათა პროექტების შემუშავება.

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის მიერ 2017 წლის მაისში დამტკიცებულ იქნა ახალი კანონპროექტები - კანონები თამბაქოს კონტროლის შესახებ, რეკლამის შესახებ, მაუწყებლობის შესახებ, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ; ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ქართული საკანონმდებლო რეფორმა სრულ თანხვედრაშია თამბაქოს კონტროლის სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებთან; და, ასევე, რაც მნიშვნელოვანია, სრულ შესაბამისობაშია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებულებებთან. ძირითადი ცვლილებები შეეხო თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესების გამო რიცხვას და თამბაქოს მწარმოებელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ პირების ურთიერთობის გამჭვირვალობას ჯანდაცვის სფეროში გადაწყვეტილების მომზადების, მიღების და დამკვიდრების პროცესში; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების თამბაქოს კვამლისგან განთავისუფლებასა და თამბაქოს ნაწარმის ყველა სახის რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის აკრძალვას 2018 წლის 1 მაისიდან; თამბაქოს ნაწარმისა და მისი აქსესუარების განთავსების აკრძალვას მაღაზიების გარე ვიტრინებსა და ფანჯრებზე 2018 წლის 1 სექტემბრიდან და ა.შ.

საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია: თამბაქოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება; თამბაქოთი გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ზარალის შემცირება; ამოცანებია: თამბაქოს მოხმარების გავრცელების ზრდის შეჩერება და თანდათანობითი შემცირება; მოწევის დაწყების მაჩვენებლის შემცირება; საზოგადოებრივ ადგილებში არამწეველთა დაცვა თამბაქოს კვამლისგან; მოწევის შეწყვეტის მსურველთა ხელშეწყობა თავი დაანებონ მოწევას და მწეველების ხელშეწყობა გაუჩნდეთ ძლიერი მოტივაცია თავი დაანებონ მოწევას.

თამბაქოს კონტროლის მრავალკომპონენტიანი და მულტისექტორული სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვა და განვითარება გრძელდება. ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ის, რომ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად აღიარა ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების გაზრდა, რომლის ფარგლებშიც, სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მიღებულ დახმარებასთან ერთად წარმატებით ხორციელდება თამბაქოს კონტროლის პროგრესული კანონის დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს კანონის ძალაში შესვლის პირველი ეტაპიდან დამოუკიდებელი მონიტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ

სივრცეებში თამბაქოს მოხმარების აკრძალვის აღსრულება 96%-ს აღწევს და მოსახლეობის 85% მხარს უჭერს ამ რეგულაციას; მნიშვნელოვნად შემცირდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მწვავე მდგომარეობების (მიოკარდიუმი ინფარქტი; ჰემორაგიული და იშემიური ინსულტი) სიხშირე. თუმცა

გამოწვევები კვლავ ბევრია და მათ დასაძლევად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და საზოგადოებრივ

ჯანდაცვითი ღონისძიებების გაძლიერება და განვითარება.მოგეხსენებათ, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი, თავის საქმიანობის ფარგლებში, აქტიურადაა ჩართული თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დახვეწაში, მონაწილეობს აღნიშნული კანონმდებლობის მონიტორინგის პროცესში და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, ახორციელებს თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას.

საქართველოს თამბაქოს კონტროლის 2013-2018 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მეტწილად შესრულდა. საქართველოს მიერ საერთაშორისო ინსტრუმენტების, უპირველეს ყოვლისა კი ქვეყანამ წარმატებით განახორციელა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციით (WHO FCTC) გათვალისწინებული მუხლებისა და მათი აღსრულების გაიდლაინების იმპლემენტაცია.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრი ვი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თამბაქოს კონტროლის ჯგუფის მიერ ახალი გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია და 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია მიზნად ისახავს წინა წლებში შემუშავებული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების გამყარებას, გაძლიერებას, განგრძობით და მდგრად განხორციელებას. თამბაქოს კონტროლი არის მრავალკომპონენტიანი პოლიტიკური საკითხი და დასახული მიზნის - თამბაქოთი გამოწვეული ავადობისა და ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირების მისაღწევად აუცილებელია უწყებათაშორის, ადგილობრივ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეებზე თანამშრომლობის უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული დოკუმენტები განსაზღვრავს საქართველოში თამბაქოს კონტროლის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც უნდა აისახოს კანონმდებლობაში და განხორციელდეს უწყებრივი ღონისძიებების სახით. სტრატეგია განსაზღვრავს კონკრეტულ საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. 2020-2025 წლების სტრატეგიის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის ძირითად მიდგომებს. დოკუმენტები ითარგმნა და გაიგზავნა ჯანმოს და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის სამდივნოს ექსპერტებთან და მივიღეთ უაღრესად დადებითი გამოხმაურება. ეროვნულმა ცენტრმა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი სამუშაო პროცესში წარმოადგინა საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (#06/3084; 20.08.2019). 2019 წლის 18 სექტემბრის N01/16321 წერილით კი სამინისტრომ მიმართა სხვადასხვა სამთავრობო უწყებას "საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიისა" და "საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმის" პროექტების თაობაზე. შენიშვნები წარმოადგინა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შეთანხმების ფურცელი თან ახლავს).

წარმოგიდგენთ საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია და 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმის ბოლო, შეჯერებულ ვერსიას, შესაბამის უწყებებში შეთანხმების მიზნით.

დანართი**:**

1. საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია
2. საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის 2020-2025 წლების სამოქმედო გეგმა
3. შეთანხმების ფურცელი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მზად არის ჩაერთოს პროცესებში კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე